საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო სპეციალური და საგანგებო ღონისძიებების ცენტრის სატენდერო დოკუმენტაცია

ინსტრუქცია ტენდერში მონაწილეთათვის

სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში (შემდგომში-სისტემა) შესყიდვის პროცედურები ხორციელდება საქართველოს კანონის „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ და „გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 07 აპრილის №9 ბრძანების შესაბამისად.

1. სახელმწიფო შესყიდვების დაფინანსების წყარო

1. 2014 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი.

2. შესყიდვებში მონაწილეთა უფლებამოსილება

2.1 სატენდერო წინადადების წარდგენისათვის პირველ რიგში უნდა დარეგისტრირდეთ სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში მიმწოდებლის სტატუსით. შემდეგ ვალდებული ხართ გაეცნოთ აფიდავიტს და დაეთანხმოთ მას (გაცნობას და თანხმობას ადასტურებთ სისტემის მეშვეობით).

2.2 პრეტენდენტის ქმედებასთან დაკავშირებული რისკისგან დაზღვევის მიზნით, მიმწოდებელი ვალდებულია ჯერ წარმოადგინოს სატენდერო წინადადების უზრუნველყოფის ელექტრონული გარანტია, რომელიც იქნება სატენდერო განცხადებაში მითითებული შესყიდვის ობიექტის სავარაუდო ღირებულების 1%-ის ოდენობით, რომლის მოქმედების ვადა განისაზღვრება არანაკლებ 160 კალენდარული დღით სატენდერო წინადადების მიღების დაწყებიდან.

სატენდერო წინადადების გარანტია მიმწოდებელს უკან არ დაუბრუნდება შემდეგ შემთხვევებში;

ა) თუ პრეტენდენტი უარს აცხადებს მის მიერ წარმოდგენილ სატენდერო წინადადებაზე;

ბ) თუ საუკეთესო ფასის მქონე პრეტენდენტის სატენდერო წინადადება ან/და საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები არ შეესაბამება (მათ შორის, ტექნიკური დოკუმენტაციის დაზუსტების შემდეგ) სატენდერო განცხადებისა და/ან სატენდერო დოკუმენტაციის მოთხოვნებს;

გ) თუ გამარჯვებული პრეტენდენტი უარს განაცხადებს ხელშეკრულების დადებაზე ან ვერ წარმოადგენს ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის გარანტიას (ასეთი გარანტიის არსებობის შემთხვევაში) გათვალისწინებულ ვადაში;

დ) პრეტენდენტის მიერ არაკეთილსინდისიერი ქმედების განხორციელებისას;

ე) პრეტენდენტი შეყვანილია შავ სიაში შესაბამისი ტენდერის ჩატარებისას.

ვ) პრეტენდენტის მიერ წარმოსადგენი საკვალიფიკაციო მონაცემების (ასეთი დოკუმენტაციის მოთხოვნის შემთხვევაში) დამადასტურებელი დოკუმენტების წარმოუდგენლობისას.

2.3 მიმწოდებელმა უნდა წარადგინოს ტენდერში მონაწილეობის საფასური 50 ლარის ოდენობით, რომელიც შემდგომ დაბრუნებას არ ექვემდებარება.

3. სატენდერო წინადადების წარდგენის ფორმა

3.1 მას შემდეგ, რაც ზემოაღნიშნულ ქმედებებს განახორციელებთ, თქვენ უფლება გაქვთ სისტემის მეშვეობით წარადგინოთ სატენდერო წინადადება, რომელიც ძალაშია „გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ მე-2 მუხლის პირველი პუნქტის **„ჟ“, „რ“, ან „ტ“** ქვეპუნქტებით გათვალისწინებული ეტაპის დადგომამდე.

3.2 სატენდერო წინადადება შედგება - სატენდერო წინადადების ფასისაგან (ერთეული ფასი –გამოსახული უნდა იყოს ტრანსპორტირების ხარჯების და ყველა სხვა გადასახადების გათვალისწინებით) და ტექნიკური დოკუმენტაციით გათვალისწინებული გადასახადებისაგან.

3.3 პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი სატენდერო წინადადების ღირებულება უნდა იქნას წარმოდგენილი მხოლოდ ეროვნულ ვალუტაში (ლარი).

3.4 ტექნიკური დოკუმენტაცია არის პრეტენდენტის მიერ სისტემაში ატვირთული შესყიდვის ობიექტისა და პრეტენდენტის შესახებ ნებისმიერი სახის ინფორმაცია, რომელიც მოთხოვნილია სატენდერო განცხადებითა და სატენდერო დოკუმენტაციით.

3.5 ტექნიკური დოკუმენტაციის ატვირთვის შემდეგ, თქვენ გაქვთ შესაძლებლობა მიუთითოთ თქვენი სატენდერო წინადადების ფასი კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა გადასახადის გათვალისწინებით.

3.6 პრეტენდენტს არა აქვს უფლება წარადგინოს ალტერნატიული წინადადება.

4. სატენდერო წინადადების განხილვა

41 თუ პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი ტექნიკური დოკუმენტაცია არ შეესაბამება სატენდერო განცხადების და სატენდერო დოკუმენტაციის მოთხოვნებს, შემსყიდველი მას განუსაზღვრავს არაუმეტეს 3 დღეს ტექნიკური დოკუმენტაციის დაზუსტებისათვის. დაუშვებელია ტექნიკური დოკუმენტაციის ისეთი დაზუსტება, რომელიც გამოიწვევს სატენდერო წინადადების არსებით ცვლილებას და მოახდენს გავლენას წინადადების ფასზე.

4.2 თუ პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი სატენდერო წინადადება შეესაბამება სატენდერო განცხადების და სატენდერო დოკუმენტაციის მოთხოვნებს, შემსყიდველი ორგანიზაცია მიმართავს მას საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტების წარმოდგენის მოთხოვნით, (ასეთი დოკუმენტაციის მოთხოვნის შემთხვევაში).

4.3 პრეტენდენტის მიერ საკვალიფიკაციო მონაცემები არის ადმინისტრაციული ორგანოებიდან წარმოსადგენი დოკუმენტი, რომლის წარმოდგენას პრეტენდენტს, შემსყიდველ ორგანიზაცია განუსაზღვრავს ვადას არაუმეტეს 5 სამუშაო დღისა. (ასეთი დოკუმენტაციის მოთხოვნის შემთხვევაში).

4.4 იმ შემთხვევაში თუ ყველაზე დაბალი ფასის მქონე პრეტენდენტმა წარმატებით გაიარა ყველა ზემოთ მოყვანილი ეტაპი (არ იქნა დისკვალიფიცირებული), შემსყიდველი დებს მასთან სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებას.

4.5 პრეტენდენტის დისკვალიფიკაცია ხდება რიგ შემთხვევებში:

ა) პრეტენდენტის მიერ წარმოსადგენი საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტების წარმოუდგენლობის ან/და ხარვეზის მქონე მონაცემების წარმოდგენისას, (ასეთი დოკუმენტაციის მოთხოვნის შემთხვევაში).

ბ) თუ პრეტენდენტი უარს აცხადებს მის მიერ წარმოდგენილ სატენდერო წინადადებაზე;

გ) თუ საუკეთესო ფასის მქონე პრეტენდენტის სატენდერო წინადადება ან/და საკვალიფიკაციო მონაცემები არ შეესაბამება (მათ შორის, ტექნიკური დოკუმენტაციის დაზუსტების შემდეგ) სატენდერო განცხადებისა და სატენდერო დოკუმენტაციის მოთხოვნებს;

დ) თუ გამარჯვებული პრეტენდენტი უარს განაცხადებს ხელშეკრულების დადებაზე ან ვერ წარმოდგენს ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის გარანტიას (გარანტიის არსებობის შემთხვევაში) კანონმდებლობით გათვალისწინებულ ვადაში;

ე) პრეტენდენტის მიერ არაკეთილსინდისიერი ქმედების განხორციელებისას.

4.6 იმ შემთხვევაში თუ მოხდა პრეტენდენტის დისკვალიფიკაცია, შემსყიდველი ორგანიზაციას უფლება აქვს მიმართოს ყველაზე დაბალი ფასის მქონე მომდევნო პრეტენდენტს, თუ ამ პრეტენდენტის მიერ სისტემაში ატვირთული ტექნიკური დოკუმენტაცია შეესაბამება სატენდერო განცხადებისა და სატენდერო დოკუმენტაციაში მოცემულ მოთხოვნებს.

4.7 იმ შემთხვევაში თუ ყველაზე დაბალი ფასის მქონე პრეტენდენტის დისკვალიფიკაციის შემდეგ, თუ მომდევნო ყველაზე დაბალი ფასის მქონე პრეტენდენტის წინადადების ფასი ბაზარზე შეცვლილი გარემოებების შემდეგ, მნიშნელოვნად აღემატება დისკვალიფიცირებული პრეტენდენტის მიერ შემოთვაზებულ ფასს ან/და ამ შესყიდვის ობიექტის საბაზრო ღირებულებას, სატენდერო კომისიას უფლება აქვს შეწყვიტოს ტენდერი.

5. სატენდერო პროცედურების შეჩერება ან შეწყვეტა

5.1 შემსყიდველ ორგანიზაციას ტენდერის შემთხვევაში ხელშეკრულების დადებამდე ნებისმიერ დროს შეწყვიტოს შესყიდვის პროცედურა, თუ ეს აუცილებელი გახდება მისგან დამოუკიდებელი და წინასწარ გაუთვალისწინებელი ობიექტური მიზეზებით, აგრეთვე საქართველოს სახელმწიფო ან/და საზოგადოებრივი ინტერესებიდან გამომდინარე.

5.2 შემსყიდველი ორგანიზაცია ტენდერის შეწყვეტის შემთხვევაში ვალდებული არ არის პრეტენდენტს წარუდგინოს დეტალური ინფორმაცია და აუნაზღაუროს შესყიდვაში მონაწილებასთან დაკავშირებული ხარჯები.

6. გამარჯვებულ პრეტენდენტთან ხელშეკრულების დადება

6.1 ხელშეკრულების ფორმა და პირობები მოცემულია სატენდერო დოკუმენტაციაში, რომელიც ხელშეკრულების დადების მომენტისათვის დაზუსტდება სატენდერო წინადადების შესაბამისად.

6.2 პრეტენდენტის მიერ საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტების სრულყოფილად წარმოდგენის შემდეგ (ასეთი დოკუმენტაციის მოთხოვნის შემთხვევაში) გამარჯვებულ პრეტენდენტსა და შემსყიდველს შორის იდება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულება, საკვალიფიკაციო მონაცემების წარდგენიდან არაუგვიანეს 5 სამუშაო დღისა. აღნიშნული ვადის გაგრძელება შესაძლებელია არაუმეტეს 5 სამუშაო დღით, მხოლოდ სატენდერო კომისიის დასაბუთებული ოქმის საფუძველზე, რომელშიც მითითებული იქნება ობიექტური მიზეზები, რომელთა გამოც ვერ მოხერხდა ხელშეკრულების დადება დადგენილ ვადაში.

6.3 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ სისტემაში უნდა აიტვირთოს მისი დადებიდან არაუგვიანეს 10 დღისა.

7. დამატებითი პირობა

7.1 ელექტრონულ ტენდერთან დაკავშირებული ყველა დოკუმენტი ან/და ინფორმაცია წარმოდგენილი უნდა იქნას ქართულ ენაზე. დოკუმენტების ან/და ინფორმაციის უცხოურ ენაზე წარდგენის შემთხვევაში მათ უნდა დაერთოს ნოტარიულად დამოწმებული ქართული თარგმანი.

7.2 დავის შემთხვევაში უცხოენოვან დოკუმენტსა და მის ქართულ ენაზე შესრულებულ თარგმანს შორის, პრიორიტეტის მინიჭების საკითხს წყვეტს სატენდერო კომისია.

7.3 სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში (შემდგომში-სისტემა) ატვირთული ყველა დოკუმენტი ან/და ინფორმაცია ხელმოწერილი და ბეჭედდასმული უნდა იყოს უფლებამოსილი პირის მიერ.

ტექნიკური დოკუმენტაცია

1. **შესყიდვის ობიექტი:**

1.1. შინაგან საქმეთა სამინისტროს სპეციალური და საგანგებო ღონისძიებების ცენტრის განსაკუთრებულ დავალებათა დეპარტამენტის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განსაკუთრებულ დავალებათა სამმართველოს ადმინისტრაციულ შენობაში გათბობის რადიატორების მიმდინარე სარემონტო სამუშაოები (არსებული დაზიანებული რადიატორების შეცვლა ახლით);

1.2. შინაგან საქმეთა სამინისტროს სპეციალური და საგანგებო ღონისძიებების ცენტრის განსაკუთრებულ დავალებათა დეპარტამენტის იმერეთის სამხარეო განსაკუთრებულ დავალებათა სამმართველოს ადმინისტრაციული კორპუსის I სართულზე სველი წერტილების მოწყობა, ჭურჭლის სამრეცხაოს და საიარაღო საწყობის სარემონტო სამუშაოები;

1.3. შინაგან საქმეთა სამინისტროს სპეციალური და საგანგებო ღონისძიებების ცენტრის განსაკუთრებულ დავალებათა დეპარტამენტის იმერეთის სამხარეო განსაკუთრებულ დავალებათა სამმართველოს წყალმომარაგების რეზერვუარის 1-0.7 მ სიმაღლეზე აწევის სამუშაოები.

2. **შესყიდვის ობიექტის შესრულების ადგილი** – ქ. ბათუმი, ტბელ აბუსერიძის ქუჩა №11 (1.1 პუნქტი); ქ. ქუთაისი, ორახელაშვილის ქუჩა №10 (1.2 და 1.3 პუნქტები)

3. **შესყიდვის ობიექტის შესრულების ვადები**: იხ. დანართი №1

4. პრეტენდენტის სატენდერო წინადადება უნდა შეიცავდეს შემდეგ დამატებით დოკუმენტებსა და ინფორმაციას:

* პრეტენდენტის იურიდიული დასახელება.
* პრეტენდენტის იურიდიული და ფაქტიური მისამართი.
* ხელმძღვანელის სახელი და გვარი.
* ელექტრონული მისამართი.
* პრეტენდენტის საკონტაქტო ტელეფონის ნომერი.
* პრეტენდენტის საბანკო რეკვიზიტები.
* პრეტენდენტის საიდენტიფიკაციო კოდი.
* პროექტის შესაბამისი ხარჯთაღრიცხვა (ხარჯთაღრიცხვაში წარმოდგენილი მასალები უნდა იყოს მაღალი ხარისხის და აკმაყოფილებდეს კანონმდებლობით დამტკიცებულ სამშენებლო ნორმებს).
* გაწეულ სამუშაოზე საგარანტიო ვადა: 1.1. და 1.2 პუნქტებში აღნიშნულ სამუშაოებზე არანაკლებ 5 (ხუთი) წელი, ხოლო 1.3 პუნქტში აღნიშნულ სამუშაოებზე არანაკლებ 10 (ათი) წელი სამუშაოების დასრულებიდან
* გამოცდილება მსგავსი სამუშაოების ჩატარების შესახებ.

შენიშვნა: დამატებით დოკუმენტებისა და ინფორმაციის ჩამონათვალი ელექტრონულ სისტემაში უნდა აიტვირთოს ტექნიკურ დოკუმენტაციასთან ერთად

5. **ანგარიშსწორების პირობები**

5.1 უნაღდო. ანგარიშსწორების ფორმა – სტანდარტული.

5.2 შემსყიდველი იღებს ვალდებულებას აუნაზღაუროს შემსრულებელს შესრულებული სამუშაოს ღირებულება ეტაპობრივად (ხელშეკრულების ღირებულების არანაკლებ 30%-ის შესრულებისას) კანონმდებლობის შესაბამისად ანაზღაურებისათვის საჭირო დოკუმენტაციის წარმოდგენიდან 20 კალენდარულ დღეში.

<u>5.3 წინასწარი ანგარიშსწორება არ განიხილება.</u>

6. სატენდერო დოკუმენტაციასთან დაკავშირებული განმარტებების მიღება პრეტენდენტს შეუძლია სატენდერო კომისიის აპარატში წერილობითი მიმართვის შემთხვევაში.

საკონტაქტო პირი: ნანა უგრეხელიძე ტელ.: 577-96-03-60 ტექნიკურ მხარესთან დაკავშირებით თორნიკე თორღვაიძე ტელ: 577 53-80-30; მიხეილ ბენაშვილი 577 53-81-82.

7. პრეტენდენტს არა აქვს უფლება წარმოადგინოს ალტერნატიული წინადადება.

ტექნიკური დავალება

დანართი №1

1 სამუშაოების შესრულების კონკრეტულ გრაფიკს ადგენენ თვით პრეტენდენტები თავიანთ სატენდერო წინადადებებში.

ვინაიდან ტენდერში გამარჯვებული პრეტენდენტის (მიმწოდებლის) სატენდერო წინადადება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების განუყოფელი ნაწილია, სამუშაოების შესრულების პროცესში მიმწოდებელი ხელმძღვანელობს მისივე სატენდერო წინადადებაში მოცემული გრაფიკით განსაზღვრული ვადებითა და სამუშაოების ეტაპების განხორციელების თანმიმდევრობით.

2.სამუშაო ადგილის მომზადება, გარემოს დაცვა

2.1 სატენდერო ობიექტის სამუშაო ადგილის გამოყოფა დამკვეთის მოვალეობაა;

2.2 შემსრულებელი პასუხისმგებელია სამუშაოსათვის გამოყოფილი ადგილის გამოყენებაზე და სამუშაოს დასრულების შემდეგ გარემოს საჭირო და სათანადო აღდგენაზე;

2.3 შემსრულებელი პასუხისმგებელია შეასრულოს სამუშაო უსაფრთხო და ეკოლოგიურად მისაღები გზით და ვალდებულია დაიცვას შემდეგი პირობები: უზრუნველყოს სამუშაო ადგილის ფარგლებში მდებარე ხეების და მცენარეების სიცოცხლისუნარიანობა;

2.4 მინიმუმამდე დაიყვანოს მუშაობით გამოწვეული ხმაურის, ვიბრაციის და მტვერის გავლენა;

2.5 სამუშაოების დასრულების შემდეგ შემსრულებელი თავისი ძალებით და სახსრებით ერთი თვის განმავლობაში ვალდებულია გაათავისუფლოს სამუშაო ადგილი სამშენებლო მოწყობილობა-დანადგარებისაგან, მასალებისაგან, დროებითი ნაგებობებისაგან და ა.შ;

3.სამუშაოთა შესრულების წესი

3.1 მასალები უნდა ინახებოდეს დახურული წესით, გარდა იმ მასალებისა, რომელიც ნორმების მიხედვით ინახება ღია ცის ქვეშ.

3.2 მომწოდებლების მასალების ხარისხი უნდა შეესაბამებოდეს სამშენებლო სტანდარტებს ნორმებს.

4.ნორმატიული დოკუმენტები

4.1 მუშაობის პროცესში შემსრულებელი ვალდებულია სამუშაოები შეასრულოს მოქმედი სამშენებლო ნორმებისა და წესების მიხედვით.

5.სამუშაოთა საბოლოო მიღება

5.1 არაუგვიანეს 7 სამუშაო დღით ადრე შემსრულებელი ატყობინებს დამკვეთს სამუშაოთა დასრულების შესახებ.

5.2 ინსპექტირების ჯგუფი ამოწმებს სამუშაოთა მოცულობას დასრულების თაობაზე და დადასტურების შემთხვევაში გადასცემს სათანადო ინფორმაციას შემსყიდველს კომისიის ჩამოყალიბების მიზნით.

5.3 თუ კომისიის მიერ სამუშაოები შეფასებული იქნა წუნით, სამუშაოთა დასრულების შესახებ ინფორმაცია გადაეცემა შემსყიდველს შემსრულებლის მიერ დეფექტების აღმოფხვრის შემდეგ.

5.4 შეტყობინების მიღებისას, არაუგვიანეს 7 სამუშაო დღისა შემსყიდველი უზრუნველყოფს ობიექტზე დასრულებული სამუშაოების სახელშეკრულებო სამუშაოებისადმი შესაბამისობის დადგენას და სათანადო ზომებს იღებს ობიექტის ექსპლუატაციაში გაშვებისათვის.

5.5 ტენდერში გამარჯვებული პრეტედენტის (მიმწოდებლის) მიერ წარმოდგენილი სატენდერო წინადადება, სამუშაოს შესრულების მეთოდები, გრაფიკი და ხარჯთაღრიცხვა წარმოადგენს სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების განუყოფილ ნაწილს.

1.1 შსს სპეციალური და საგანგებო ღონისძიებების ცენტრის განსაკუთრებულ დავალებათა დეპარტამენტის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განსაკუთრებულ დავალებათა სამმართველოს ადმინისტრაციულ შენობაში გათბობის რადიატორების მიმდინარე სარემონტო სამუშაოების (არსებული დაზიანებული რადიატორების შეცვლა ახლით) ხარჯთაღრიცხვა
(სარემონტო სამუშაოების შესრულების ვადა განისაზღვროს ხელშეკრულების გაფორმებიდან 15 კალენდერული დღე)

N	სამუშაოთა და მასალათა დასახელება	განზომილება	რაოდენობა	მასალა		ხელფასი		ჯამი
				ერთეულის ფასი (ლარი) ფასი	ჯამი	ერთეულის ფასი (ლარი) ფასი	ჯამი	
1	2	3	4	5	6	7	8	9
1	არსებული გათბობის რადიატორის დემონტაჟი	კომპ.	20					
2	პანელური რადიატორები H=500X500	ცალი	4					
3	პანელური რადიატორები H=500X600	ცალი	7					
4	პანელური რადიატორები H=500X700	ცალი	3					
5	პანელური რადიატორები H=500X900	ცალი	2					
6	პანელური რადიატორები H=500X1000	ცალი	4					
7	ვენტილი მიმწოდ და უკუ მილსადენზე დ=20მმ	ცალი	40					
	ჯამი							
	ზედნადები ხარჯები სანტექნიკურ სამუშაოებზე		12%					
	ჯამი							
	მოგება		8%					
	ჯამი							
	გაუთვალისწინებელი ხარჯი		3%					
	ჯამი							
	დ.ღ.გ		18%					
	სულ ჯამი							

1.2 შ.ს. სამინისტროს სპეციალური და საგანგებო ღონისძიებების ცენტრის განსაკუთრებულ დავალებათა დეპარტამენტის იმერეთის სამხარეო განსაკუთრებულ დავალებათა სამმართველოს ადმინისტრაციული კორპუსის I სართულზე სველი წერტილების მოწყობა, ჭურჭლის სამრეცხაოს და საიარაღო საწყობის სარემონტო სამუშაოების ხარჯთაღრიცხვა (სამუშაოების შესრულების ვადა განისაზღვროს ხელშეკრულების გაფორმებიდან 45 კალენდერული დღე)

№	სამუშაოთა დასახელება	ღირებულება
1	სამშენებლო	
2	წყალ-კანალიზაცია	
3	ელექტროობა	
4	ვენტილაცია	
5	სახანძრო	
	ჯამი	

1.2.1 შ.ს. სამინისტროს სპეციალური და საგანგებო ღონისძიებების ცენტრის განსაკუთრებულ დავალებათა დეპარტამენტის იმერეთის სამხარეო განსაკუთრებულ დავალებათა სამმართველოს ადმინისტრაციული კორპუსის I სართულზე სველი წერტილების მოწყობა, ჭურჭლის სამრეცხაოს და საიარაღო საწყობის სარემონტო სამუშაოების ხარჯთაღრიცხვა

№	სამუშაოთა და მასალათა დასახელება	განზომილება	რაოდენობა	მასალა		ხელფასი		ჯამი
				ერთეულის ფასი (ლარი) ფასი	ჯამი	ერთეულის ფასი (ლარი) ფასი	ჯამი	
1	2	3	4	5	6	7	8	9
	თავი №1 I სართულზე სველი წერტილების მოწყობის სამშენებლო სარემონტო სამუშაოები							
	1.1 სადემონტაჟო სამუშაოები							
1	კედლებიდან არსებული მოჭიქული ფილებით მოპირკეთების მოხსნა	მ^2	60,28					
2	არსებული ცემენტის ნალესის დემონტაჟი	მ^2	60,28					
3	მეტალოპლასტმასის ფანჯრების დემონტაჟი	მ^2	3,99					
4	პლასტმასის შეკიდული ჭერის დემონტაჟი	მ^2	34,22					
5	რკინაბეტონის კედლის დემონტაჟი	მ^3	0,99					
6	გიფსოფილის კორობის დემონტაჟი	მ^2	2,43					
7	არსებული მდფ-ის კარების დემონტაჟი	მ^2	2,09					
8	სამშენებლო ნაგვის დატვირთვა ხელით	მ3	9,98					

	ავტოთვითმცლელებზე							
9	სამშენებლო ნაგვის ტრანსპორტირება	ტნ	7,68					
	1.2 სარემონტო სამუშაოები							
1	პემზის ნაყარის მოწყობა იატაკზე (დონის აწევისთვის)	$მ^3$	5,13					
2	კედლის გამაგრება ლითონის კონსტრუქციით 100X100X10 მმ კუთხოვანით და 80X6 მმ ზოლოვანათი	ტ	0,27					
3	აგურის ზდუდის მოწყობა ცემენტის ხსნარზე	$მ^3$	0,24					
4	ტიხრის მოწყობა სატიხრე ბლოკით 10X20X40 სმ	$მ^3$	4,00					
5	კედლის ამოშენება წვრილი საკედლე ბლოკით	$მ^3$	1,04					
6	ცემენტის მოჭიმვის I ფენის მოწყობა	$მ^2$	33,22					
7	კედლების ლესვა ცემენტის ხსნარით	$მ^2$	42,4					
8	კედლების ლესვა ცემენტის ხსნარით	$მ^2$	204,23					
9	კედლის დამუშავება სამშენებლო ქიმიით (2 კომპონენტიანი ჰიდრო იზოლატორი)	$მ^2$	63,83					
10	ლინოკრომის (მინაქსოვილზე) ერთი ფენის მოწყობა	$მ^2$	68,27					
11	ცემენტის მოჭიმვის II ფენის მოწყობა	$მ^2$	33,22					
12	კედლის ნაწილისა და იატაკის დამუშავება სამშენებლო ქიმიით (2 კომპონენტიანი ჰიდრო იზოლატორი)	$მ^2$	42,4					
13	კორობის მოწყობა ტენგამძლე ბეტოპანის ფილებით 10 მმ სისქის (UD და CD პროფილებზე)	$მ^2$	4,80					
14	კერამიკული ფილის (მეთლახის) მოწყობა წებოცემენტზე	მ2	37,30					
15	კერამიკული ფილის (კაფელი) მოწყობა წებოცემენტზე	მ2	104,6					
16	კერამიკული ფილის (მეთლახის) პლინტუსების 7-8 სმ სიმაღლის მოწყობა წებოცემენტზე	გრძ.მ	9,1					
17	კედლების დამუშავება ფითხით	$მ^2$	108,75					
18	ინტერიერის კედლების დამუშავება და ღებვა ზეთოვანი საღებავით	მ2	108,75					
19	პლასტმასის შეკიდული ჭერის მოწყობა (UD და CD პროფილებზე)	მ2	33,22					

20	მეტალოპლასტმასის კარის მოწყობა	მ2	**11,82**					
21	მეტალოპლასტმასის ფანჯრის მოწყობა	მ2	**1,96**					
22	ლითონის მილკვადრატის კარკასის მოწყობა 60X30 მმ ბეტონში ჩაანკერებით (საშხაპეებში)	ტნ	**0,067**					
23	2 მმ სისქის ფურცლოვანი ფოლადის მოწყობა ლითონის კარკასში (საშხაპეებში) 10 მმ ლითონის კვადრატებით	ტნ	**0,101**					
24	ლითონის კონსტრუქციების ანტიკოროზიული ლაქით შეღებვა	ტნ	**0,168**					
25	ლითონკონსტრუქციების შეღებვა ზეთოვანი საღებავით	ტნ	**0,168**					
26	სარკის მოწყობა კაფელზე 600X600X4 მმ	ც	**4**					
27	თავი №2 საიარაღოს სარემონტო სამუშაოები							
	2.1 სარემონტო სამუშაოები							
1	კედლების ჩამოფხეკა და გასუფთავება ძველი საღებავისაგან	მ2	**14,40**					
2	კედლების დამუშავება ფითხით	მ^2	**14,40**					
3	კედლების შეღებვა წყალემულსიური საღებავით	მ^2	**14,40**					
4	მეთლახის 7 სმ სიმაღლის პლინტუსის მოწყობა	გრძ.მ	**4,80**					
	თავი №3 ჭურჭლის სამრეცხაო ოთახის სარემონტო სამუშაოები							
	3.1 სადემონტაჟო სამუშაოები							
1	არსებული მეტლახის იატაკის დემონტაჟი	მ^2	**11,34**					
2	არსებული ცემენტის მოჭიმვის მოხსნა	მ^2	**11,34**					
3	კედლებიდან არსებული მოჭიქული ფილებით მოპირკეთების მოხსნა	მ^2	**5,52**					
4	არსებული ცემენტის ნალესის დემონტაჟი	მ^2	**5,52**					
5	სამშენებლო ნაგვის დატვირთვა ხელით ავტოთვითმცლელებზე	მ3	**0,91**					
6	სამშენებლო ნაგვის ტრანსპორტირება	ტნ	**0,91**					
	3.2 სარემონტო სამუშაოები							
1	ცემენტის მოჭიმვის I ფენის მოწყობა	მ^2	**11,34**					
2	კედლების ლესვა ცემენტის ხსნარით	მ^2	**5,52**					

3	ცემენტის მოჭიმვისა და კედლების ნაწილის დამუშავება პრაიმერით	მ²	16,86					
4	ლინოკრომის (მინაქსოვილზე) ერთი ფენის მოწყობა	მ²	16,86					
5	ცემენტის მოჭიმვის II ფენის მოწყობა	მ²	11,34					
6	კერამიკული ფილის (მეთლახის) მოწყობა წებოცემენტზე	მ2	11,34					
7	კერამიკული ფილის (კაფელი) მოწყობა წებოცემენტზე	მ2	5,5					
	ჯამი							
	სატრანსპორტო ხარჯი	3%						
	ჯამი							
	ზედნადები ხარჯები	8%						
	ჯამი							
	გეგმიური დაგროვება	8%						
	ჯამი							
	გაუთვალისწინებელი ხარჯი	3%						
	ჯამი							
	დ.ღ.გ.	18%						
	სულ ჯამი							

1.2.2. შ.ს.ს. სპეციალური და საგანგებო ღონისძიებების ცენტრის განსაკუთრებულ დავალებათა დეპარტამენტის იმერეთის სამხარეო განსაკუთრებულ დავალებათა სამმართველოს ადმინისტრაციული კორპუსის I სართულზე სველი წერტილების მოწყობა, ჭურჭლის სამრეცხაოს და საიარაღო საწყობის სარემონტო სამუშაოების სავარაუდო ხარჯთაღრიცხვა

წყალ კანალიზაცია

N	სამუშაოთა და მასალათა დასახელება	განზომილება	რაოდენობა	მასალა		ხელფასი		ჯამი
				ერთეულის ფასი (ლარი) ფასი	ჯამი	ერთეულის ფასი (ლარი) ფასი	ჯამი	
1	2	3	4	5	6	7	8	9
	თავი №1 I სართულზე სველი წერტილების მოწყობის სამშენებლო სარემონტო სამუშაოები							
	1.3 წყალმომარაგება კანალიზაციის სამუშაოები							

1	კერამიკული ხელსაბანი ფეხით, შემრევით და სიფონით	კომპლ.	4					
2	თურქული თასის მოწყობა 8 ლიტრიანი წყლის (ჩამრეცხი) ავზით	კომპლ.	4					
3	კუთხური ონკანის მოწყობა დ-20 მმ	ცალი	12					
4	2 ც დ-25 მმ პლასტმასის ონკანით და პლასტმასის მილებით საშხაპის შემრევის მოწყობა	ცალი	4					
5	საშხაპის ყურმილის მოწყობა დრეკადი რეზინის 1.2 მ დ-12 მმ შლანგით და ყურმილის მოძრავი სამაგრით	ცალი	4					
6	დ-32 მმ პლასტმასის ონკანის მოწყობა	ცალი	2					
7	დ-25 მმ პლასტმასის ონკანის მოწყობა	ცალი	4					
8	პლასტმასის ცხელი წყლის მილის მოწყობა დ-32 მმ	გრძ.მ	15					
9	პლასტმასის ცხელი წყლის მილის მოწყობა დ-25 მმ	გრძ.მ	30					
10	პლასტმასის ცხელი წყლის მილის მოწყობა დ-20 მმ	გრძ.მ	40					
11	წყალმომარაგების მილსადენის ფურნიტურა დ-20-32 მმ	ცალი	50					
12	დ-70 მმ თუჯის ტრაპის მოწყობა	ცალი	7					
13	დ-100 მმ თუჯის ტრაპის მოწყობა	ცალი	1					
14	კანალიზაციის მილის მოწყობა დ-100 მმ	გრ.მ	25,0					
15	კანალიზაციის მილის მოწყობა დ-70 მმ	გრ.მ	20,0					
16	კანალიზაციის მილის ფურნიტურა დ-70-100 მმ	ცალი	25					
17	არსებული ქსელთან მიერთება	წერტ	1,0					
	ჯამი							
	სატრანსპორტო ხარჯი	**3%**						
	ჯამი							
	ზედნადები ხარჯები	**12%**						
	ჯამი							
	გეგმიური დაგროვება	**8%**						
	ჯამი							
	გაუთვალისწინებელი ხარჯი	**3%**						
	ჯამი							
	დ.ღ.გ.	**18%**						
	სულ ჯამი							

1.2.3. შ.ს.ს. სპეციალური და საგანგებო ღონისძიებების ცენტრის განსაკუთრებულ დავალებათა დეპარტამენტის იმერეთის სამხარეო განსაკუთრებულ დავალებათა სამმართველოს ადმინისტრაციული კორპუსის I სართულზე სველი წერტილების მოწყობა, ჭურჭლის სამრეცხაოს და საიარაღო საწყობის სარემონტო სამუშაოების ხარჯთაღრიცხვა

ელექტრო სამონტაჟო სამუშაოები

N	სამუშაოთა და მასალათა დასახელება	განზომილება	რაოდენობა	მასალა		ხელფასი		ჯამი
				ერთეულის ფასი (ლარი) ფასი	ჯამი	ერთეულის ფასი (ლარი) ფასი	ჯამი	
1	2	3	4	5	6	7	1	2
	თავი №1 I სართულზე სველი წერტილების მოწყობის სამშენებლო სარემონტო სამუშაოები							
	1.4 ელექტროობის სამონტაჟო სამუშაოები							
1	ელ. ჩამრთველის მოწყობა 1 კლავიშიანი	ცალი	3					
2	ელ. ჩამრთველის მოწყობა 2 კლავიშიანი	ცალი	2					
3	ჰერმეტული ელ. სანათის მოწყობა ვარვარების ნათურით 2X60 ვტ	ცალი	8					
4	პლასტმასის ელ. ფარის მოწყობა 4 ადგილიანი	ცალი	1					
5	ელ. ამომრთველის მოწყობა 2X32 ამპ	ცალი	2					
6	ორმაგიზოლაციიანი კაბელის მოწყობა სპილენძის ძარღვზე 3X4 მმ2	გრძ.მ	25					
7	ორმაგიზოლაციიანი კაბელის მოწყობა სპილენძის ძარღვზე 3X2.5 მმ2	გრძ.მ	150					
8	ორმაგიზოლაციიანი კაბელის მოწყობა სპილენძის ძარღვზე 2X1.5 მმ2	გრძ.მ	75					
9	პლასტმასის გამანაწილებელი კოლოფების მოწყობა	ცალი	10					
	ჯამი							
	სატრანსპორტო ხარჯი	**3%**						
	ჯამი							
	ზედნადები ხარჯები	**75%**						
	ჯამი							
	გეგმიური დაგროვება	**8%**						
	ჯამი							
	გაუთვალისწინებელი ხარჯი	**3%**						
	ჯამი							
	დ.ღ.გ.	**18%**						
	სულ ჯამი							

1.2.4. შ.ს. სამინისტროს სპეციალური და საბანგებო ღონისძიებების ცენტრის განსაკუთრებულ დავალებათა დეპარტამენტის იმერეთის სამხარეო განსაკუთრებულ დავალებათა სამმართველოს ადმინისტრაციული კორპუსის I სართულზე სველი წერტილების მოწყობა, ჭურჭლის სამრეცხაოს და საიარაღო საწყობის სარემონტო სამუშაოების ხარჯთაღრიცხვა

ვენტილაცია

№	სამუშაოთა და მასალათა დასახელება	განზომილება	რაოდენობა	მასალა		ხელფასი		ჯამი
				ერთეულის ფასი (ლარი) ფასი	ჯამი	ერთეულის ფასი (ლარი) ფასი	ჯამი	
1	2	3	4	5	6	7	1	2
	თავი №1 I სართულზე სველი წერტილების მოწყობის სამშენებლო სარემონტო სამუშაოები							
	1.5 ვენტილაციის სისტემის სამონტაჟო სამუშაოები							
1	სავენტილაციო მილსადენის მოწყობა მოთუთიებული თუნუქით, კედელში ჩამაგრებით	მ2	54,00					
2	ჰაერის შემომყვანი მილის მოწყობა მოთუთიებული თუნუქისაგან, კედელში ჩამაგრებით	მ2	24,00					
3	პლასტმასის ცხაურის მოწყობა ჰაერის შემომყვან მილზე 20X20 სმ	ცალი	6,00					
4	პლასტმასის ცხაურის მოწყობა ჰაერის შემომყვან მილზე 50X30 სმ	ცალი	4,00					
	ჯამი							
	სატრანსპორტო ხარჯი	**3%**						
	ჯამი							
	ზედნადები ხარჯები	**8%**						
	ჯამი							
	გეგმიური დაგროვება	**8%**						
	ჯამი I							
5	ჰაერგამწოვი დანადგარის მოწყობა 2600 მ3 საათში სიმძლავრის ΔP-350	კომპ	1,00					
6	ჰაერგამწოვი დანადგარის მოწყობა 2000 მ3 საათში სიმძლავრის ΔP-350	კომპ	1,00					
	ჯამი							
	სატრანსპორტო ხარჯი	**3%**						
	ჯამი							
	ზედნადები ხარჯები	**68%**						
	ჯამი							
	გეგმიური დაგროვება დანადგარების გამოკლებით	**8%**						
	ჯამი II							
	თავი №2 საიარაღოს სარემონტო სამუშაოები							

	2.2 სავენტილაციო ქსელის მოწყობის სამუშაოები							
1	ბეტონის კედლის გამონგრევა 30X30X40 სმ	მ3	0,10					
2	ჰაერის შემომყვანი მილის მოწყობა მოთუთიებული თუნუქისაგან, კედელში ჩამაგრებით	მ2	54,00					
3	პლასტმასის ცხაურის მოწყობა ჰაერის შემომყვან მილზე 25X25 სმ	ცალი	4,00					
	ჯამი							
	სატრანსპორტო ხარჯი	3%						
	ჯამი							
	ზედნადები ხარჯები	8%						
	ჯამი							
	გეგმიური დაგროვება	8%						
	ჯამი III							
4	ელ. ჩამრთველის მოწყობა 1 კლავიშიანი	ცალი	1,00					
5	ორმაგიზოლაციიანი კაბელის მოწყობა სპილენძის ძარღვზე 3X2.5 მმ2	გრძ.მ	40					
6	კაბელარხის მოწყობა 1.5X2.5 სმ	გრძ.მ	30					
	ჯამი							
	სატრანსპორტო ხარჯი	3%						
	ჯამი							
	ზედნადები ხარჯები	75%						
	ჯამი							
	გეგმიური დაგროვება	8%						
	ჯამი IV							
7	არხული ჰაერგამწოვი დანადგარის მოწყობა 1500 მ3 საათში სიმძლავრის ΔP-200	კომპ	2,00					
	ჯამი							
	სატრანსპორტო ხარჯი	3%						
	ჯამი							
	ზედნადები ხარჯები	68%						
	ჯამი							
	გეგმიური დაგროვება დანადგარების გამოკლებით	8%						
	ჯამი V							
	ჯამი I,II,III,IV,V							
	გაუთვალისწინებელი ხარჯი	3%						
	ჯამი							
	დ.ღ.გ.	18%						
	სულ ჯამი							

1.2.5. შ.ს.ს. სპეციალური და საგანგებო ღონისძიებების ცენტრის განსაკუთრებულ დავალებათა დეპარტამენტის იმერეთის სამხარეო განსაკუთრებულ დავალებათა სამმართველოს ადმინისტრაციული კორპუსის I სართულზე სველი წერტილების მოწყობა, ჭურჭლის სამრეცხაოს და საიარაღო საწყობის სარემონტო სამუშაოების ხარჯთაღრიცხვა

სახანძრო

№	სამუშაოთა და მასალათა დასახელება	განზ.	რაოდენობა	ხელფასი		მასალა		ჯამი
				ერთეულის ფასი (ლარი) ფასი	ჯამი	ერთეულის ფასი (ლარი) ფასი	ჯამი	
1	2	3	4	5	6	7	8	9
	თავი №2 საიარაღოს სარემონტო სამუშაოები							
	2.3 ხმოვანი სიგნალიზაციის მოწყობის სამუშაოები							
1	სახანძრო სიგნალიზაციის სამოსამართო საკონტროლო პანელი 2 შლეიფზე აკუმულატორითა (12V) და გამმართავი ბლოკით	ცალი	1,0					
2	სახანძრო სასიგნალო სირენა	ცალი	2,0					
3	აკუსტიკური სიგნალიზატორი	ცალი	1,0					
4	სიგნალიზაციის კაბელის მოწყობა 4X0.4 მმ	გრძ.მ	40,0					
5	კაბელიანი სენსორი კარის ან ფანჯრისათვის	ცალი	1,0					
	ჯამი							
	სატრანსპორტო ხარჯი	3%						
	ჯამი							
	ზედნადები ხარჯები	68%						
	ჯამი							
	გეგმიური დაგროვება დანადგარების გამოკლებით	8%						
	ჯამი II							
	გაუთვალისწინებელი ხარჯი	3%						
	ჯამი							
	დ.ღ.გ.	18%						
	სულ ჯამი							

1.3. შ.ს.ს. სპეციალური და საგანგებო ღონისძიებების ცენტრის განსაკუთრებულ დავალებათა დეპარტამენტის იმერეთის სამხარეო განსაკუთრებულ დავალებათა სამმართველოს წყალმომარაგების რეზერვუარის 1-0.7 მ სიმაღლეზე აწევის სამუშაოების სავარაუდო ხარჯთაღრიცხვა

(სამუშაოების შესრულების ვადა განისაზღვროს ხელშეკრულების გაფორმებიდან 20 კალენდერული დღე)

N	სამუშაოთა და ხარჯების დასახელება	განზომილება	რაოდენობა	მასალა		ხელფასი		ჯამი
				ერთეულის ფასი (ლარი) ფასი	ჯამი	ერთეულის ფასი (ლარი) ფასი	ჯამი	
1	2	3	4	5	6	7	8	9
1	არსებული 15 ტონიანი რეზერვუარის დემონტაჟი და გადადგმა 5 მეტრის მოშორებით	ტ	2,8					
2	რკინაბეტონის საყრდენის მოწყობა რეზერვუარისათვის მ-250 ბეტონისაგან	მ³	7,2					
3	ბეტონის ფილის დანგრევა	მ³	0,8					
4	გატანა ნაგვის სახით ტერიტორიიდან	ტ	0,6					
5	ტრანშეის გათხრა და მილის მონტაჟის შემდგომ გრუნტის უკუ მიყრა	მ³	2,1					
6	ლითონის მილის მოწობა დ-80 მმ ტრანშეაში	გრძ.მ	7					
7	ბეტონის ფილის აღდგენა მ-300 ბეტონისაგან	მ³	0,6					
8	არსებული 15 ტონიანი რეზერვუარის მონტაჟი რკინაბეტონის საყრდენზე და მილსადენების დაერთება	ტ	2,8					
9	15 მ3 ტევადობის რეზერვუარის გაწმენდა და დამუშავება (შიდა მხრიდან) შესაბამისი ხსნარებით	ც	1					
10	ლითონის ონკანის მოწყობა დ-80 მმ	ც	1					
11	ლითონის რეზერვუარის და მილსადენის დამუშავება და შეღებვა ზეთოვანი საღებავით	მ²	25,00					
12	ონკანის დაერთება არსებულ რეზერვუარზე	წერტ.	1					
	ჯამი							
	სატრანსპორტო ხარჯი	3%						
	ჯამი							
	ზედნადები ხარჯები	8%						

	ჯამი							
	გეგმიური დაგროვება	8%						
	ჯამი							
	გაუთვალისწინებელი ხარჯი	3%						
	ჯამი							
	დ.ღ.გ.	18%						
	სულ ჯამი							

აფიდავიტი
სატენდერო წინადადების დამოუკიდებლად განსაზღვრის თაობაზე

მე, ქვემოთ ხელმომწერი,_____

(სახელი, გვარი, პ/ნ)

_____*სახელით,*

(პრეტენდენტის დასახელება, საიდენტიფიკაციო ნომერი)

წარვუდგენ რა სატენდერო წინადადებას _____

_____

(შემსყიდველი ორგანიზაცია და სატენდერო კომისიის დასახელება)

მის მიერ_____

_____

(ტენდერის გამოცხდების თარიღი და შესყიდვის ობიექტი)

შესყიდვის მიზნით გამოცხადებულ ტენდერში მონაწილეობის მისაღებად, ვადასტურებ, რომ ჩემს მიერ წარმოდგენილი სატენდერო წინადადება შემუშავებულია კონკურენტისგან დამოუკიდებლად. ასევე ვადასტურებ, რომ:

1. ჩემთვის ცნობილია, რომ სატენდერო წინადადება დისკვალიფიცირებულ იქნება, თუ აღმოჩნდა, რომ აფიდავიტში მოცემული ინფორმაცია არის ყალბი ან/და ცრუ;
2. უფლებამოსილი ვარ პრეტენენტის მიერ, ხელი მოვაწერო ამ აფიდავიტს და წარვადგინო ეს სატენდერო წინადადება;
3. ნებისმიერ პირი, რომლის ხელმოწერაც დაფიქსირებულია სატენდერო წინადადებაზე, შესაბამისად უფლებამოსილია პრეტენდენტის მიერ.
4. ჩემთვის ცნობილია რომ ტერმინი „კონკურენტი“ აფიდავიტის მიზნებიდან გამომდინარე, გულისხმობს ნებისმიერ პირს, რომელიც შესაძლებელია იყოს პრეტენდენტი ან/და წარადგინოს სატენდერო წინადადება ამ ტენდერში.
5. მატერიალური გამორჩენის ან უპირატესობის მიღების მიზნით პრეტენდენტსა და კონკურენტს შორის არ წარმოებულა კონსულტაცია, კომუნიკაცია, შეთანხმება ან მოლაპარაკება შემდეგ საკითხებთან დაკავშირებით:
ა) სატენდერო წინადადების ფასი;
ბ) სატენდერო წინადადების ფასის გამოთვლის მეთოდი, კოეფიციენტი ან ფორმულა;
გ) სატენდერო წინადადების წარდგენა ან წარდგენისგან თავის შეკავება;
დ) ისეთი სატენდერო წინადადების განზრახ წარდგენა, რომელიც არ აკმაყოფილებს გამოცხადებული ტენდერის პირობებს.
ე) შესყიდვის ობიექტის ხარისხი, მოცულობა, ტექნიკური პირობები ან მიწოდების დეტალები, რომელთაც ეხება სატენდერო წინადადება.
6. სატენდერო წინადადების პირობები პრეტენდენტს წინასწარი განზრახვით, პირდაპირ ან არაპირდაპირ, არ გაუმჟღავნებია ან/და არ გაუმჟღავნებს კონკურენტს სატენდერო წინადადების განსაჯაროების მომენტამდე.

გავეცანი ამ აფიდავიტის შინაარსს და ვადასტურებ წარმოდგენილი ინფორმაციის უტყუარობას.

_____

(პრეტენდენტის რეკვიზიტები)

_____

(პრეტენდენტის უფლებამოსილი წარმომადგენლის სახელი, გვარი და ხელმოწერა)

_____

(თარიღი)

სახელმწიფო შესყიდვების მიზნებისთვის, აფიდავიტი წარმოადგენს სატენდერო წინადადების დამოუკიდებლად განსაზღვრის თაობაზე წერილობით დოკუმენტს, რომლის ხელმომწერი, პრეტენდენტის სახელით, ადასტურებს დოკუმენტში მითითებული ინფორმაციისა და გარემოებების უტყუარობას და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით პასუხს აგებს აღნიშნული ინფორმაციისა და გარემოებების უტყუარობაზე. აფიდავიტით განსაზღვრული პირობების დარღვევა იწვევს სისხლის-სამართლებრივ პასუხისმგებლობას საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 195[1] მუხლის შესაბამისად.

სატენდერო წინადადების საგარანტიო უზრუნველყოფა
(საბანკო გარანტიის შემთხვევაში)

ვითვალისწინებთ რა, რომ ————————————————————————————————————
(პირი, რომელზეც გაიცემა საგარანტიო წერილი)

(შემდგომში „პრეტენდენტი“) მზად არის წარმოადგინოს თავისი სატენდერო წინადადება ——————————————————————————— სატენდერო კომისიის მიერ
(შემსყიდველი ორგანიზაციის დასახელება)

——————————————————————— შესყიდვაზე გამოცხადებულ ტენდერში მონაწილეობის
(საქონლის დასახელება)

მისაღებად, ჩვენ ——————————————————————————————— (შემდგომში „ბანკი“)
(ბანკის დასახელება)

ვ ა დ ა ს ტ უ რ ე ბ თ, რ ო მ

ვიღებთ ვალდებულებას ——————————————————————— (შემდგომში „შემსყიდველი“)
(შემსყიდველი ორგანიზაციის დასახელება)

წინაშე, რომლის მიხედვითაც დროულად და სრულად უზრუნველვყოფთ შემსყიდველისათვის ——————————————————————————————————————— გადახდას
(თანხა ციფრობრივად, სიტყვიერად, ვალუტის მითითებით)

შემდეგ შემთხვევებში:

1.თუ სატენდერო წინადადებების გახსნის შემდეგ პრეტენდენტმა უარი განაცხადა ტენდერში მონაწილეობაზე, თავისი სატენდერო წინადადების მოქმედების ვადის დასრულებამდე;

2. თუ პრეტენდენტი გამარჯვების შემთხვევაში უარს განაცხადებს შემსყიდველთან სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების დადებაზე;

3. თუ პრეტენდენტი დისკვალიფიცირებულ იქნა შესყიდვის პროცედურების დროს არაკეთილსინდისიერი ქმედების ჩადენის გამო.

გარანტია ძალაში რჩება ————————————მდე* .
(თარიღი)

---

* გარანტიის მოქმედების ვადა უნდა იყოს პრეტენდენტის სატენდერო წინადადების მოქმედების ვადაზე 30 კალენდარული დღით მეტი.
ბანკი უზრუნველყოფს საგარანტიო თანხის გადახდას შემსყიდველის წერილობითი მოთხოვნის მიღებისთანავე, შემსყიდველის მხრიდან ყოველგვარი მტკიცებულებების წარმოდგენის გარეშე, იმ პირობით, რომ შემსყიდველის მოთხოვნაში მითითებული იქნება რომელი ზემოაღნიშნული შემთხვევის (შემთხვევების) დადგომის გამო ეკუთვნის მას ეს თანხა და შემსყიდველის მოთხოვნა საგარანტიო თანხის გადახდაზე წარედგინება ბანკს გარანტიის მოქმედების ვადის დასრულებამდე.

——————————————————
(ხელმოწერა)

——————————————————
(სახელი, გვარი, თანამდებობა)

პროექტი

ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ №

ქ. თბილისი "------" ------ 2014 წელი

1. ხელშეკრულების მხარეების ზუსტი დასახელება და რეკვიზიტები

წინამდებარე ხელშეკრულება დაიდო ერთის მხრივ (შემდგომში შემსყიდველი) საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სპეციალური და საგანგებო ღონისძიებების ცენტრის ადმინისტრაციის უფროსის ---------- სახით, მის: (ქ. თბილისი, 9 აპრილის ქ. №4) და მეორეს მხრივ (შემდგომში შემსრულებელი) ---------- მისი დირექტორის ---------- სახით, (მის: --------- ტელ: --------) შორის და მიღწეულ იქნა ურთიერთშეთანხმება შემსრულებლის მიერ წარმოდგენილი სატენდერო წინადადების საფუძველზე შემდეგზე: **ელექტრონული ტენდერის** საშუალებით სამუშაოების შესყიდვაზე.

2. ხელშეკრულების ობიექტის დასახელება

4. 2.1 შემსრულებელი იღებს ვალდებულებას შეასრულოს — დანართი №1-ის შესაბამისად.

2.2 ხელშეკრულებით გათვალისწინებული შესყიდვის ობიექტის აღწერა მოცემულია ტექნიკურ დავალებასა და ხარჯთაღრიცხვაში, რომელიც დაერთვება ხელშეკრულებას, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

3. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება

3.1 ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს: ------- (სიტყვიერად) ლარს.

3.2 ხელშეკრულების ჯამური ღირებულება უნდა შეიცავდეს შემსრულებლის მიერ საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებულ ყველა სხვა გადასახადს.

3.3 **დაფინანსების წყარო – სახელმწიფო ბიუჯეტი**

4. ანგარიშსწორების ფორმა

4.1. უნაღდო. ანგარიშსწორების ფორმა – სტანდარტული.

4.2. შემსყიდველი იღებს ვალდებულებას აუნაზღაუროს შემსრულებელს შესრულებული სამუშაოს ღირებულება ეტაპობრივად (ხელშეკრულების ღირებულების არანაკლებ 30%-ის შესრულებისას) კანონმდებლობის შესაბამისად ანაზღაურებისათვის საჭირო დოკუმენტაციის წარმოდგენიდან 20 კალენდარულ დღეში.

4.3 ანგარიშწორების ვალუტა: ლარი.

5. მიღება ჩაბარების წესი

5.1 შესყიდვის ობიექტის (სამუშაოები) ჩაბარების ვადა განისაზღვროს **ხელშეკრულების გაფორმებიდან ---**

5.2 შესასრულებელი სამუშაოს შესრულების ადგილი: ------

5.3 სამშენებლო სამუშაოები ან მისი ნაწილი (ეტაპი) ჩაითვლება მიღებულად მხოლოდ სათანადო დოკუმენტაციის გაფორმების შემდეგ (შესრულებული სამუშაოს აქტი, ფორმა №2).

5.4 სამშენებლო სამუშაოები ან მისი ნაწილის, ეტაპის მიღების და/ან საბოლოო შემოწმების შედეგად გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრას საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოფს შემსრულებელი.

5.5 შემსყიდველი ვალდებულია ოპერატიულად, წერილობითი სახით, აცნობოს შემსრულებელს საბოლოო შემოწმების შედეგები დაწუნებული შესრულებული სამუშაოს წუნდების მიზეზების მითითებით.

6. სამუშაოთა ხარისხი და საგარანტიო პირობები

7.1 გაწეული სამუშაოები უნდა იყოს მაღალი ხარისხის და შეესაბამებოდეს შემსყიდველის მოთხოვნებს, კერძოდ ტექნიკურ დავალებასა და ხარჯთაღრიცხვას.

6.2 შემსრულებლის მიერ შესრულებულ სამუშაოებზე (სამუშაო ობიექტის ჩაბარებიდან) ვრცელდება ---------- წლიანი გარანტია.

7. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

7.1 შემსრულებელი იღებს ვალდებულებას განახორციელოს აღნიშნული სამშენებლო სამუშაოები მითითებულ ვადაში. სამუშაოს პროცესში გაითვალისწინოს შემსყიდველის ყველა მოთხოვნები და შენიშვნები, გაუწიოს სამშენებლო სამუშაოები სრული მოცულობით ნაკისრი ვალდებულებების საბოლოო შესრულებამდე.

7.2 შემსრულებელი იღებს ვალდებულებას უზრუნველყოს შესასრულებელი სამუშაოს შესრულება ტექნიკური დავალებითა და ხარჯთაღრიცხვის შესაბამისად.

7.3 შემსრულებელი იღებს ვალდებულებას სამშენებლო სამუშაოები ან მისი ნაწილის, ეტაპის მიღების და/ან საბოლოო შემოწმების შედეგად გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრას საკუთარი ხარჯებით დაუყონებლივ უზრუნველყოფს შემსრულებელი;

7.4 შემსყიდველი ორგანიზაცია ვალდებულია ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრულად და ჯეროვნად შესრულებისათვის შემსრულებელს აუნაზღაუროს ხელშეკრულებით გათვალისწინებული თანხა.

8. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების პირობების დარღვევისათვის

8.1 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულების შედეგად მიყენებული ზარალისათვის მხარეები ერთმანეთის წინაშე პასუხს აგებენ საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად;

8.2 შემსყიდველი უფლებამოსილია შესასრულებელი სამუშაოების ვადის გადაცილების შემთხვევაში დააკისროს ჯარიმა შემსრულებელს ყოველი ვადა გადაცილებული დღეზე დროულად შეუსრულებელი სამუშაოების ღირებულების 0.2%-ის ოდენობით.

8.3 შემსყიდველი უფლებამოსილია შემსრულებლის მხრიდან ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრულად შეუსრულებლობის და/ან უხარისხოდ შესრულების შემთხვევაში შემსრულებელს დააკისროს ჯარიმა შეუსრულებელი და/ან უხარისხოდ შესრულებული სამუშაოსათვის ხელშეკრულების ღირებულების 5%-ის ოდენობით.

9. ხელშეკრულების ინსპექტირების პირობები

9.1 შემსყიდველი ან მისი წარმომადგენელი უფლებამოსილია ნებისმიერ დროს განახორციელონ ტექნიკური კონტროლი და/ან გამოცადონ სარემონტო სამუშაოები. კონტროლს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ურთიერთობებთან დაკავშირებით განახორციელებს სპეციალური ჯგუფი <u>(ინსპექტირების ჯგუფი)</u>, შემოწმდება რამდენად დაცულია ხელშეკრულების მიხედვით ნაკისრი ვალდებულებები, კერძოდ; ფაქტიურად შესრულებული სამუშაოების ხარისხი, შესრულების ვადა.

9.2 შემსრულებელი ვალდებულია საკუთარი რესურსებით უზრუნველყოს შემსყიდველის კონტროლის (ინსპექტირების) ჩატარებისათვის აუცილებელი პერსონალით, ტექნიკური საშუალებებით და სხვა სამუშაო პირობებით. იმ შემთხვევაში, თუ შემსყიდველი კონტროლის (ინსპექტირების) მიზნით გამოიყენებს საკუთარ ან მოწვეულ პერსონალს, მის შრომის ანაზღაურებას უზრუნველყოფს თვით შემსყიდველი.

9.3 შემსრულებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს კონტროლის (ინსპექტირების) შედეგად გამოვლენილი ყველა დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრა.

9.4 შემსრულებელის მიერ სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებისა და მასში შემავალი დოკუმენტების პირობების შესრულებაზე, და ასევე შესასრულებელი სამუშაოების ფასსა და ხარისხზე შემსყიდველის მხრიდან კონტროლს განახორციელებს შესაბამისი წარმომადგენელი **პირი** ----------.

9.5 წარმოდგენილი დოკუმენტაციის სისრულეზე და რეალობაზე პასუხისმგებელია 9.4 პუნქტში მითითებული პირი.

10. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

10.1 არავითარი გადახრა ან ცვლილება ხელშეკრულების პირობებში არ დაიშვება ორივე მხარის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შესწორებების გარდა;

10.2 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია;

10.3 ნებისმიერი ცვლილება, რომელსაც მოჰყვება ხელშეკრულების ფასის გაზრდა ან შემსყიდველისათვის

პირობების გაუარესება, დაუშვებელია გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის და ამ დებულების მოთხოვნათა გათვალისწინებით.
10.4 ხელშეკრულების ჯამური ღირებულების გაზრდა დაუშვებელია ხელშეკრულევის ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით.
10.5 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.
10.6 მხარეები იღებენ ვალდებულებას შეატყობინონ ერთმანეთს აღნიშნული ხელშეკრულების პირობების ცვლილებათა შესახებ არაუგვიანეს 10 დღისა.

11. დაუძლეველი ძალა

11.1 მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია დაუძლეველი ძალის ზეგავლენით. აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში, მხარე ვალდებულია აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობის შესახებ.
11.2 თუ ერთ-ერთი მხარე დაუძლეველი ძალის გამო ვერ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, იგი ვალდებულია დაუყონებლივ, მაგრამ არაუგვიანეს მომდევნო კალენდერული დღისა აცნობოს მეორე მხარეს მათი დადგომის ან/და დასრულების შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაბამისის მხარე არ გათავისუფლდება ნაკისრი ვალდებულებებისაგან.
11.3 მხარეთა პასუხისმგებლობა და ვალდებულებები განახლდება დაუძლეველი ძალის მოქმედების დასრულებისთანავე.

12. ხელშეკრულების შეწყვეტა

12.1 შემსყიდველს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების სრული ან მისი ცალკეული პირობის მოქმედების შეწყვეტის შესახებ, შემსრულებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში.
12.2 შემსყიდველსა და შემსრულებლის შორის ურთიერთშეთანხმების საფუძველზე, შემსყიდველს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების სრული ან მისი ცალკეული პირობის მოქმედების შეწყვეტის შესახებ.
12.3 შემსყიდველი ხელშეკრულების სრული ან ცალკეული შეწყვეტის გადაწყვეტილების მიღებისას ვალდებულია შეატყობინოს შემსრულებელს მიღებული გადაწყვეტილება მისი მიღების საფუძველი და ამოქმედების თარიღი. აღნიშნული შეტყობინება უნდა მიეწოდოს შემსრულებელს გადაწყვეტილების ძალაში შესვლამდე.
12.4 ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პრობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ სატენდერო კომისიის სხდომის ოქმის საფუძველზე.

13. დამატებითი პირობები

13.1. მხარეები ხელმძღვანელობენ ურთიერთპატივისცემის პრინციპით და თანამშრომლობის გაღრმავების სურვილით.
13.2. ხელშეკრულების მხარეები ვალდებულნი არიან გაუფრთხილდნენ თითოეულის სახელს, საქმიან რეპუტაციას და ღირსებას.
13.3. მხარეები ვალდებულნი არიან დაიცვან ერთობლივი საქმიანობის შედეგად მათთვის ცნობილი მეორე მხარის კონფიდენციალური ინფორმაცია.
13.4. ხელშეკრულების მხარეებს არა აქვთ უფლება გააკეთონ განცხადება მეორე მხარის მიერ ხელშეკრულების ვერ ან არ შესრულების, მისი შესრულებისას დარღვევების და ა. შ. თუ წინასწარ მოხდა საკითხის ერთობლივი შესწავლა და შესაბამისი ფაქტების დადასტურება.
13.5. კონფიდენციალობის დარღვევად არ ჩაითვლება შემთხვევა, როდესაც ინფორმაციის გამჟღავნება წარმოადგენს კანონის ან კანონის საფუძველზე ხელისუფლების რომელიმე ორგანოს მიერ გამოცემული

აქტის მოთხოვნას.
13.6 წინამდებარე ხელშეკრულება შედგენილია ოთხ ეგზემპლარად ქართულ ენაზე, რომელთაგან თითოეულს გააჩნია თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება „შემსყიდველთან“ და „მიმწოდებელთან“.
13.7 წინამდებარე ხელშეკრულების ყველა ცვლილება და დამატება ძალაშია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ისინი შეტანილია წერილობითი სახით და ხელმოწერილია ორივე მხარის სრულუფლებიანი წარმომადგენლის მიერ.

14. დავების გადაწყვეტის წესი

14.1 შემსყიდველმა და <u>შემსრულებელმა</u> ყველა ღონე უნდა იხმაროს, რათა პირდაპირი არაოფიციალური მოლაპარაკების პროცესში შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ;
14.2 თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან ოცდაათი დღის განმავლობაში შემსყიდველი და შემსრულებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხების შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის და მიხედვით მიმართოს საქართველოს სასამართლოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.
14.3 თუ შემსრულებელი არ არის საქართველოს რეზიდენტი, ხელშეკრულების განხორციელების პროცესში მხარეთა შორის წარმოქმნილი სადაო საკითხების განხილვა განხორციელდება საარბიტრაჟო გარჩევის გზით, საერთაშორისო სავაჭრო სამართლის შესახებ გაეროს საარბიტრაჟო კომისიის წესების შესაბამისად.

15. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

15.1 ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს **2014 წლის 31 დეკემბრის** ჩათვლით.

ყოველივე ზემოთთქმულის დასტურად მხარეებმა გააფორმეს წინამდებარე ხელშეკრულება, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, ამ დოკუმენტის თავში მითითებულ დღესა და წელს.

მხარეთა რეკვიზიტები:

შემსყიდველი ორგანიზაცია:	**შემსრულებელი ორგანიზაცია:**
საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო	**----„-------”**
ქ. თბილისი, 9 აპრილის ქ. №4	**---- ----------**
საბანკო რეკვიზიტები:	**საბანკო რეკვიზიტები:**
საქართველოს სახელმწიფო ხაზინა	**სს „ ბანკი”-ს**
ბანკის კოდი:220101222	**ბანკის კოდი:**
ანგარიშსწორების ანგარიში:200122900	**ანგარიშსწორების ანგარიში:**
საიდენტიფიკაციო კოდი 204494788	**საიდენტიფიკაციო კოდი:**
სპეციალური და საგანგებო ღონისძიებების ცენტრის ადმინისტრაციის უფროსი	**დირექტორი**

შენიშვნა: წინამდებარე ხელშეკრულების პროექტი დაზუსტდება ხელშეკრულების გაფორმების დროს.